პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეგობრელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 16 იანვარი, 1949 წ. № 11 (8314). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ვამრავლოთ ჩვენი რესპუბლიკის წარმატებანი—მოწინავე (1-ლი გვერდი).
მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს (მეორე მოწვევის) IV სესია (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესია (მე-2 გვერდი).
ვ. ცხოვრებაშვილი — სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკები ახალი მიღწევებით ეგებებიან საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობას (მე-2 გვერდი).
პარტიულ კონფერენციებზე (მე-3 გვერდი).
გ. ფორცხალავა—კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი (მე-3 გვერდი).
ტრაქტორების რემონტი (მე-3 გვერდი).
კინო.—ფილმი გუნების დიდ გარდამქმნელზე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ვამრავლოთ ჩვენი რესპუბლიკის წარმატებანი

Cნობას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1948 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ, რომელიც „კომუნისტის“ 14 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა, კანონიერი სიამაყის გრძნობით გაეცნობიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხს ბრძენი ბელადის დიდი სტალინის წინამძღოლობით მოპოვებულია შესანიშნავი წარმატებანი სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების 1948 წლის გეგმა შეასრულა 107 პროცენტით და წინა წელთან შედარებით 16 პროცენტით გაადიდა პროდუქციის გამოშვება.

მთელი განვლილი წლის მანძილზე მაღალნაყოფიერად მუშაობდა რესპუბლიკის მძიმე მრეწველობა. საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს წლიური დავალებანი დაზგათმშენებელთა და მანქანათმშენებელმა ქარხნებმა. გასულ წელს ათვისებული და გამოშვებულია მთელი რიგი ახალი, გაუჭაობებული დაზგები და მანქანები. მაღალნაყოფიერად შრომობდნენ ზესტაფონელი მეტალურგები და კასპელი მეცემენტენები. ჭიათურელმა მაღაროელებმა ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს ათეულ ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი. რესპუბლიკის ელექტროსადგურებმა წინა წელთან შედარებით გასულ წელს გამოიმუშავეს ათეულ ათასობით მეტი კილოვატი ელექტროენერგია. საქართველოს მეშახტეებმა 30 პროცენტით გაადიდეს ქვანახშირის ამოღება.

განვლილი სამეურნეო წელი თვალსაჩინო მიღწევებით დაამთავრა საფეიქრო, მსუბუქი, საგამოვნო, კვების, ადგილობრივი, სშენ მასალათა, საავტომობილო ტრანსპორტის, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისის კაბვოდ-მაუდის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, ჭუთასის მაუდის ფაბრიკის და აბრეშუმის კომბინატის კოლექტივების მაღალნაყოფიერი მუშაობა.

წინა წლებთან შედარებით გაცილებით უკეთ წარმოდგა კაპიტალური მშენებლობა. 1948 წელს შესრულებულ კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობამ 11 პროცენტით გადააჭარბა 1947 წლის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობას. გასულ წელს რესპუბლიკას შეეძინა მოლოტოვის სახელობის ძმლავრი შახტი ტყიბულში, ამუშავდა ლოკომოტივსარემონტო ქარხნის რამდენიმე საამქრო, ხრამჰესის მეორე აგრეგატი, ჰიმნადი ელექტროსადგურების მუწყობაში ჩადგა სოხუმჰესი, რომელიც ახლა მთელი სიმძლავრით მუშაობს. ასამუშავებლად მზად არის რუსთავის თბოელექტროცენტრალის პირველი რიგი. ენერგიული შრომა იყო გაჩაღებული რუსთავის მეტალურგიულ და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების, ბოლაჩაურის წყალსადენის, სამგორის სარწყავი სისტემის, ქვანახშირის ახალი შახტების, ჩითახეთის ჰიდროელექტროსადგურისა და მთელ რიგ სხვა სამშენებლო ობიექტებზე.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა სასახლოდ გაანაღდეს დიდი სტალინისათვის სამეურნეო წლის დასაწყისში მიცემული პირობა. აგროწესების ზუსტად დაცვით, შრომის უკეთესი ორგანიზაციით მათ ხორბლეულის, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანეს და დიდი გადაჭარბებით შეასრულეს პურის, ჩაის მწვანე ფოთლის, ყურძნის, თამბაქოს, ხორცის, რძის პროდუქტების, აბრეშუმის პარკის სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა. ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეთა შრომადღის ღირებულება, კოლმეურნეთა შეძლებულობა.

გასული სამეურნეო წლის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებურება იყო მოსკოველთა თაოსნობით გაჩაღებული მოძრაობა საწარმოთა რენტაბელობისათვის, ზეგეგმითი დაგროვებისათვის. ამ მოძრაობაში ფართოდ იყვნენ ჩაბმულნი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნების, შახტებისა და მაღაროების, ტრანსპორტისა და ახალშენებლობათა კოლექტივები, რომლებმაც ათეულ მილიონობით მანეთი ზეგეგმითი დაგროვება და ეკონომია მისცეს სახელმწიფოს.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიერ გასულ წელს მოპოვებულ ამ უდიდეს წარმატებებთან ერთად, უნდა აღინიშნოს წარმოებისა და ვაჭრობის ზოგიერთი დარგის ჩამორჩენა. რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობამ ბოლომდე ვერ შეინარჩუნა სამეურნეო წლის დასაწყისში აღებული ტემპი და ჩამორჩა გეგმის შესრულებაში. წლიური გეგმები ვერ შესრულეს თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანამ, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკამ და მთელმა რიგმა სხვა საწარმოებმა. შეუსრულებელი დარჩა საქონელბრუნვის გეგმა. გარდა ცეკავშირის სისტემისა, საქონელბრუნვის სახელმწიფო დაგალებანი ვერც ერთმა სავაჭრო ორგანიზაციამ მთლიანად ვერ გაანაღდა.

თუ რაოდენობრივი მაჩვენებლების მხრივ გეგმების შესრულებაში ფრიად საგრძნობი წარმატებები გვქონდა, იგივე არ შეიძლება ითქვას პროდუქციის ხარისხზე, განსაკუთრებით მსუბუქ მრეწველობაში და სარეწაო არტელებში. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხზე თავის მოხსენებაში თბილისის XIX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე განსაკუთრებით გაამახვილა ყურადება საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა, რომელმაც კონკრეტული მაგალითებით ცხადყო ამ მიმართულებით ზოგიერთი ჩვენი საწარმოს ცუდი მუშაობა. „ეს მაგალითები მოწმობენ, — თქვა ამხ. ჩარკვიანმა,—რომ პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს. ხარისხის საკითხები არ დგას საწარმოების პარტიულ ორგანიზაციათა და სამეურნეო ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრში“.

საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელობა, პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთ მომავალ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, სასვენი ალმოფხვრან წუნდებული საქონლის გამოშვება.

მომდინარე წელს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა წინაზე, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. ჩვენ უფრო სწრაფად უნდა ვიაროთ წინ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, სისტემატურად ვამრავლოთ წარმატებანი, ვადამდე შევასრულოთ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი.

მაღალნაყოფიერად დაიწყო სამეურნეო წელი. ამას ცხადყოფს იანვრის პირველი ნახევრის შედეგები. საწარმოთა დიდი უმრავლესობა სასახლოდ ასრულებს საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებებს. ჩვენი ამოცანაა განვაზოგადოთ ეს წარმატებანი, მორიგი გამარჯვებებით შევხვდეთ საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობას, უზრუნველვყოთ ყოველ თვეში, ყოველ კვარტალში საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★ ★

ვ. ი. ლენინის გაჩრდილვაღების 25 წლისთავისათვის

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკომიტეტის მომხსენებელთა ჯგუფისათვის მოეწყო საინსტრუქციო მოხსენება თემაზე: „ლენინიზმის ყოველსმძლე ძალა“.

მომხსენებლები უკვე შეუდგნენ მუშაობას. საქმაბე და ტენდერების საამქროებში წაკითხულ იქნა მოხსენება თემაზე „ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი“.

პარტიულ კაბინეტში და ბიბლიოთეკაში მოწყობილია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენები.

ქარხნის პარტიული კაბინეტი ამ დღეებში აწყობს ექსკურსიას ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში.

ქარხნის ყოველ საამქროში მზადდება კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი.

* * *

თბილისის რკინიგზის კვანძის პარტკომიტეტის სალექციო დარბაზში და ბიბლიოთეკაში მოწყობილია ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენები.

ამ დღეებში რკინიგზის კვანძის კავშირგაბმულობის მე-5 დისტანციის მუშა-მოსამსახურეებისათვის ლექტორმა ამხ. თ. გაგნიძემ გააკეთა მოხსენება თემაზე „ლენინის ბავშვობა და ყრმობა“. ამავე თემაზე მოხსენება მოეწყობა კვანძის ყველა მსგავს პარტიულ ორგანიზაციაში.

მოეწყო აგიტატორთა სემინარი, რომელსაც 35 აგიტატორი ესწრებოდა. აგიტატორებს განემარტათ, თუ როგორ უნდა ჩაატარონ საუბრები ლენინის დღეებთან დაკავშირებით.

პარტკომიტეტს გათვალისწინებული აქვს უახლოეს დღეებში, მოაწყოს რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა ექსკურსიები ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში.

* * *

გურჯაანის რაიონში მიმდინარეობს მზადება ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 25-ე წლისთავისათვის.

რაიკომის პარტკაბინეტსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოეწყო დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურის გამოფენა.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა შეარჩია მომხსენებლები, რომლებიც ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებებს წაიკითხავენ რაიონის საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში.



 თბილისი. საუკეთესო სახარატო დაზგებს უშვებს კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა. ამ დაზგების მოწინავე ამწყობია ზეინკალი ი. ფირცხალავა, რომელმაც 2 წელიწადსა და 11 თვეში 10 წლის და 7 თვის ნორმა შეასრულა.

ფოტო რ. აკოფოვისა

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის აღსანიშნავად

სამეურნეო წელი მაღალნაყოფიერად დაიწყეს

ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში თბილისის სპილენძსაგალნაგი ქარხნის კოლექტივმა გასულ წელს თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა. ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 122 პროცენტით შეასრულა, წინა წელთან შედარებით 23,4 პროცენტით გაადიდა საერთო პროდუქციის გამოშვება, ხოლო სასაქონლო პროდუქციის ზრდა 16,7 პროცენტს უდრის. თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მთელ რიგ რაციონალიზატორულ ღონისძიებათა წარმოებაში დანერგვის შედეგად ქარხნის კოლექტივმა სახელმწიფოს მისცა 240 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ქარხანაში წარმატებით ანაღდებენ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს. საერთო პროდუქციის გამოშვების დეკემბრის გეგმა აქ 146,4 პროცენტით გაანაღდეს, სასაქონლო პროდუქციისა—110,7 პროცენტით. მუშაობის ტემპი არ შენელებულა მომდინარე წელსაც. როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ყოველდღიური დავალებანი დიდი გადაჭარბებით სრულდება.

ქარხნის წარჩინებულმა სტახანოველებმა მდნობელებმა ვ. ბენდიახიშვილმა, გ. მჭედლიშვილმა და ვ. მიშენკომ გასულ წელს გეგმის გადაჭარბებით გამოადნეს 213 ტონა სპილენძი. ისინი გამომუშავების დღიურ ნორმებს 140 პროცენტით ანაღდებენ. მტკეცავებმა ნ. შომახიამ, მ. სეფაშვილმა, გ. თარიშვილმა, ახალგაზრდა სტახანოველებმა მ. პაიჭაძემ, გ. პოლოსოვმა, ვ. კოზაევმა, მ. რაზგოევმა და სხვებმა გატკეცეს 80 ტონით მეტი სპილენძი, ვიდრე წლიური გეგმით იყო გათვალისწინებული, და საგრძნობლად გადააჭარბეს საგეგმო დავალებას.

იანვრის პირველი დღეებიდან მდნობელთა მ. სეფაშვილის და მტკეცავთა ნ. შომახიას ბრიგადები საქართველოს ბოლშევიკების მორიგი ყრილობის აღსანიშნავად სტახანოვურ ვახტზე დგანან და გადამეშვების დღიურ ნორმებს 130-140 პროცენტით ასრულებენ. ქარხნის კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ოთხ წელიწადში შესრულოს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი.

პირობას ანაღდებენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი ენერგიულად მუშაობს საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობისათვის მაღალ საწარმოო მაჩვენებლებით შესახვედრად. მაღაროს 118 პროცენტით შეასრულა იანვრის პირველი კვირის დავალება. ყოველდღიურ გეგმებს 115-120 პროცენტით ასრულებენ ის უბნები, რომლებსაც კომუნისტები მ. კენჭოშვილი, გ. ჭიღლაძე და შ. გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობენ.

ამ მაღაროს წარჩინებული სტახანოველი, საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატი ამხ. პ. მარტაძე ყოველდღიურ დავალებას 350-400 პროცენტით ასრულებს. მას გადაწყვეტილი აქვს 25 იანვრისათვის სამნახევარი თვის გეგმა შეასრულოს. ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგანან და დავალებებს ორმაგად ასრულებენ სტახანოველები მ. თაბაკარი, ვ. გაფრინდაშვილი, გ. კენჭოშვილი და სხვები.

მაღაროს კოლექტივმა პირობა დადო 25 იანვრისათვის შეასრულოს თვიური გეგმა და დაზოგოს 150.000 მანეთი. ორჯონიკიძელები ამ პირობას ანაღდებენ.

მეფუტკრე პრაქტიკოსი

ლენინგორი. (საკ. კორ.). სოფელ ქვემო ბოლის კოლმეურნეებებს მეფუტკრეობის ფერმებს მზრუნველობით უვლის მეფუტკრე-პრაქტიკოსი ქრისტეფორე კუსრაევი. იგი ფუტკრის თვითეულ ოჯახზე გეგმით გათვალისწინებული 25 კილოგრამი თაფლის ნაცვლად იღებს 35-40 კილოგრამს.

ქ. კუსრაევი დაუზარებლად ეხმარება რაიონის სხვა კოლმეურნეობათა მეფუტკრეებსაც. მან უკანასკნელ წლებში მოამზადა 100-ზე მეტი მეფუტკრე სპეციალისტი, რომლებიც ამჟამად წარმატებით მუშაობენ კოლმეურნეობებში.

საკოლმეურნეო ჰიდროელესადგურები

ქვემო სვანეთი. (საკ. კორ.). სასასშის და ჯახუნდრის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებმა გასულ წელს დაიწყეს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. მიწისა და ტუტრნების ბეტონური სამუშაოები მთლიანად დამთავრებულია. დამთავრებულია მილების ჩაწყობა და კაბელის საბეტონო სამუშაოები. მალე სოფელ სასაშისა და ჯახუნდრის კოლმეურნეების ბინებს და კეთილდღეობას ელექტრონათურებს.

სასოფლო საავადმყოფოები

ონი. (საკ. კორ.). ონის რაიონულმა ჯანმრთელობის განყოფილებამ ღების სასოფლო საბჭოში გახსნა ახალი საავადმყოფო, რომელიც მოთავსებულია ახლადაგებულ კაპიტალურ შენობაში. აქვეა საექიმო უბანი და ამბულატორია.

ასეთივე სასოფლო საავადმყოფო გახსნეს ზვარეთის სასოფლო საბჭოში.

საავადმყოფოები დაკომპლექტებულია კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით.

საარაიონო ბიბლიოთეკა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). გაიხსნა ახალი საარაიონო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკას შეძენილი აქვს 1.000-მდე სხვადასხვა პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, გათვალისწინებულია მომდინარე წლისათვის მნიშვნელოვნად გადიდდეს ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდი.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია საკავშირო და რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთებით.

კონკურსი დავით გურამიშვილის ძეგლის პროექტზე

დამთავრდა კონკურსი დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ძეგლის პროექტზე. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის 32 მოქანდაკემ და მხატვარმა, აგრეთვე მთელმა რიგმა ქართველმა ხუროთმოძღვრებმა.

კონკურსის ჟიურიმ განიხილა წარმოდგენილი პროექტები და დააჯილდოვა საუკეთესო ნაშუშვრები. ჟიურის რეკომენდაცია გაუწია არქიტექტორების შ. ჭეოიას და კ. ჯანაშიას პროექტს. დ. გურამიშვილის ძეგლი დაიდგმება პოეტის საფლავზე ქალაქ მირგოროდში.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მესამე ტომი ლატვიურ ენაზე

რიგა, 11 იანვარი (საკდესი). ლატვიის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ლატვიური ენაზე გადათარგმნილი მესამე ტომი. თარგმანი შეასრულა ლატვიის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა.

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

15 იანვარს დამთავრდა ხელოვნებისა და ლიტერატურის 1947 წლის დამლევს და 1948 წლის დამდეგს გამოქვეყნებული ან შესრულებული ნაწარმოებებისათვის სტალინური პრემიებზე წარდგენებთა მიღება.

17 იანვარს მოსკოვში იხსნება ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის პლენუმი.

განხილულ იქნება ყველა მიღებული წინადადება. პირველ სხდომაზე საზეიმო ვითარებაში გადაეცემათ დიპლომები და სპეციალური ნიშნები შეურჩეს, თეატრის, კინოს და სახვითი ხელოვნების მოღვაწეებს, რომელთაც სტალინური პრემიები მინიჭებული აქვთ 1947 წელს შექმნილი ნაწარმოებებისათვის. (საკდესი).

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს (მეორე მოწვევის) IV სესია

15 იანვარს შედგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს (მეორე მოწვევის) IV სესია.

სესია გახსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. ა. გორჩაშვილმა.

სესიის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ დეპუტატ ე. ი. ჩერქეზიას და მდივნად—დეპუტატ ვ. გ. გელაშვილს.

სესიამ მიიღო დადგენილება მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან დეპუტატ **გ. ა. გორჩაშვილის** განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი **მიხეილ მიხეილის-ძე ლელაშვილი.**

ამხ. მ. მ. ლელაშვილი განათლებით ინჟინერი—ელექტრიკოსია, 1933 წლიდან იმყოფებოდა პასუხსაგებ სამეურნეო სამუშაოზე. 1946-დან 1947 წლამდე მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილედ კადრების დარგში. 1947 წლის დეკემბერში ამხ. მ. მ. ლელაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1948 წლის აპრილში — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად. ამხ. ლელაშვილი ამ სამუშაოზე იმყოფებოდა უკანასკნელ ხანამდე.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. მ. ლელაშვილი

სესიამ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგის მოვალეობისაგან გაათავისუფლა დეპუტატი **ვ. ი. ჩომახიძე,** სასწავლებელში წასვლის გამო.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგედ სესიამ დაამტკიცა დეპუტატი **დ. პ. გოცირიძე.**

სესიამ დეპუტატი გ. დ. ბეჟანიშვილი გაათავისუფლა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, ხოლო დეპუტატი დ. პ. გოცირიძე—ეაჭრობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ სესიამ ერთხმად აირჩია დეპუტატი **ა. ა. თევზაძე,** ხოლო ვაჭრობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ—დეპუტატი **გ. ფ. ხომერიკი.**

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს IV სესიამ ამით დაამთავრა მუშაობა. (საქდესი).

სტუდენტთა საზამთრო არდადეგები

უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების საზამთრო არდადეგები დაწესებულია 24 იანვრიდან 6 თებერვლამდე. უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფორგანიზაციები, რომლებიც 350 ათასზე მეტ სტუდენტს აერთიანებენ არდადეგების დროს მოაწყობენ დაკვრებისა საღამოებს, ახალგაზრდობის შეხვედრას მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, აგრეთვე გამოფენებზე, მუზეუმებში, კინოებსა და თეატრებში კოლექტიურ სლაკ. ყველა უმაღლეს სასწავლებელში გაიმართება ზამთრის საგამოცდო სესიისა და სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგებისადმი მიძღვნილი კრება.

უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა რესპუბლიკურ და საოლქო კომიტეტებს წინადადება მისცა მოაწყონ დიდ ცენტრებში სტუდენტთა აქტივის საერთო საქალაქო კრებები, უმაღლეს სასწავლებელთა ფრაადოსნების საღამოები, მხატვრული თვითშემოქმედების ჩვენება. სტუდენტთა კლუბებსა და მეცნიერთა სახლებში უჩვენებენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფილმებს.

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „მეცნიერების“ ცენტრალურ საბჭოს დაევალა არდადეგების დროს მოაწყოს მოთხილამურეთა მასობრივი ლაშქრობა და შეჯიბრება სხვადასხვა სახის საზამთრო სპორტში.

წარსული წლების მიხედვით არდადეგების დროს პროფორგანიზაციები სტუდენტებს მისცემენ თავიანთი სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებს. (საკდესი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესია

ლენინგრადი, 10 იანვარი. (საკვლევი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დილის პლენარული სხდომა მიეძღვნა საორგანიზაციო საკითხებს. სხდომა გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ს. ი. ვავილოვმა.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, — თქვა მან, — აკადემიის წესდების შესაბამისად საერთო კრების წინაშე აყენებს საკითხს, რომ აკადემიის შემადგენლობიდან გაირიცხოს ზოგიერთი უცხოელი მეცნიერი მეცნიერებისა და დემოკრატიის საზანაფოდ, საბჭოთა კავშირის საზღაფოდ მმართველი მათი საქმიანობის გამო.

აკადემიკოსმა ვავილოვმა აღნიშნა, რომ ეს საზიანო საქმიანობა ნაწილია მთელი დემოკრატიის წინააღმდეგ, მათ შორის სსრ კავშირის წინააღმდეგ, წარმოებული ცილისწამების პოლიტიკური კამპანიისა.

პრეზიდენტმა კმაყოფილებით აღნიშნა საერთო კრებას, რომ ბევრი უცხოელი მეცნიერი არ თანაუგრძნობს ასეთ გამოსვლებს. მან აღნიშნა, რომ უცხოელ მეცნიერთაგან, მიგალითად, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის მაქს ბორნისაგან, ცნობილი ინგლისელი ფიზიკოსის ბერნალისგან მიღებულია მთელი რიგი განცხადებანი, რომელებთაც ისინი მთლიანად მხარს უჭერენ საბჭოთა აკადემიის მოწინავე მეცნიერებისათვის ბრძოლაში.

ს. ი. ვავილოვმა თქვა, რომ სესიის დღეგადელი სხდომის დღის წესრიგში დგას საკითხი, რომ ჰენრი დეილს ჩამოერთვას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის წოდება, ხოლო გერმან ჯ. მელერსა და ოლფ ბროკს — წევრი კორესპონდენტის წოდება.

პრეზიდენტმა სიტყვა მისცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების მდივნის. მოვალეობის ამსრულებელს აკადემიკოს ა. ი. ოპარინს.

— ახლა, როცა საბჭოთა ხალხმა, — განაცხადა ა. ი. ოპარინმა, — თავისი შვილების სისხლით იხსნა კაცობრობა ფაშიზმის მიხაკისფერი ჭირისაგან, კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციულმა წრეებმა, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში, მიმართეს დემოკრატიისა და პროგრესის ძალების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ფორმებს. ისინი ცდილობენ მთელი მსოფლიოს მიღიონობით უბრალო ადამიანთა შეგნებაში ალმოფხვრან სიმპათია ჩვენი ხალხისადმი, ჩვენი ქვეყნისადმი, — შვიდობისა და დემოკრატიის საქმისადმი მთელ თავიანთ ინტერესებს, გამდიდრების, შურისძიების მსაზღვრის, მეცნიერების მოლტარიზაციის ინტერესებს დაუქვემდებარეს მეცნიერული კვლევა.

აკადემიკოსმა ა. ი. ოპარინმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტური წრეები წინანდებუნად ცილისწამების კამპანიით ხვდებიან სამეურნეო და კულტურული განვითარების დარგში ჩვენი ძლევამოსილი წინსვლის ყოველ ნაბიჯს. მენდელ-მორგანის რეაქციულ მოძღვრებაზე მატერიალისტური. მიჩურინეული ბიოლოგიის გამარჯვება ახალი გამოცდაშერების საბაბად გახდეს ამჯერად ცალკეულმა უცხოელმა მეცნიერებმა, რომლებმაც უღალატეს ნამდვილი მეცნიერების ინტერესებს და ჩრდილოეთ, შვიდობისა და დემოკრატიის მტრების ბანაკში გადავიდნენ.

ამ თვალსაზრისით, — განაგრძობს აკადემიკოსი ა. ი. ოპარინი, — უნდა განვიხილოთ ინგლისელი ფიზიოლოგის ჰენრი დეილის წერილი ჩვენი აკადემიის პრეზიდენტის სახელზე; ეს წერილი, სანამ ჩვენს აკადემიაში მოვიდოდა, დიდი ხნით ადრე ერეკლესებიდან ეცხოთეს. რეაქციულ პრესაში და რადიოში.

აკადემიკოსი ოპარინი მოაგონებს სხდომას, რომ 1942 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ თავის საპატიო წევრად აირჩია ჰენრი დეილი, რომელიც იმ დროს ინგლისის სამეფო საზოგადოების პრეზიდენტი იყო, ამჟამად ჰენრი დეილმა განაცხადა, რომ გადის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობიდან. და ეს იმით დასაბუთა, რომ არ ეთანხმება აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებებს ბიოლოგიის საკითხებზე.

აკადემიკოსი ოპარინი ამბობს, რომ ჰენრი დეილი ფაქტებს საწინააღმდეგოდ ამტკიცებს, თითქოს საბჭოთა ბიოლოგიის მეცნიერებაში მიჩურინეული მიმართულების გამარჯვება არ იყოს მეცნიერული აზრების პატიოსანი და საკარო შეჯახების შედეგი. აკადემიკოსმა ოპარინმა ცხადყო, რომ ინგლისელი ფიზიოლოგის ასეთი მტკიცება მთლიანად ეწინააღმდეგება ეშმარიტებას და ამას მოწმობს, რომ პროფესორი დეილი არ გარკვეცა გაეცნო საკითხს მეცნიერული მხარე და შეგნებულად უგულებელყო ბიოლოგიის ისტორიის მასალები

ცხადია, თქვა დასასრულ აკადემიკოსმა ოპარინმა, რომ პროფესორ დეილის წერილი ნაკარნახევია არა მოწინავე მეცნიერების განვითარებისათვის ზრუნვით, არამედ ისეთი მოსაზრებებითა და მოტივებით, რომელთაც საერთო არა აქვთ რა მეცნიერულ-სამ. პროფესორი დეილი მორჩილი ორაღი გახდა ანტიდემოკრატიული ძალების ხელში.

ამასთან დაკავშირებით, რომ პროფესორ დეილის მოქმედება ძირითულია საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ, აკადემიკოსმა ოპარინმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით წინადადება შეიტანა გაირიცხოს ჰენრი დეილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრთა შემადგენლობიდან.

შემდეგ გამოვიდა აკადემიკოსი ლ. ა. ორბელი. მან იმას მიაყარო ყურადღება, რომ პროფესორი დეილი მეცნიერებს პპოლიტიკურობის ნიღბით იცავს იმ გარკვეულ პოლიტიკურ დაჯგუფებათა ინტერესებს, რომლებიც ნამდვილი მეცნიერებისა და დემოკრატიის საზიანოდ მოქმედებენ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის ამსრულებელმა აკადემიკოსმა ვ. პ. ნიკიტინმა წაიკითხა საერთო კრების დადგენილების პროექტი, რომელის დასკვნის ნაწილში ნათქვამია:

„სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წესდების 24-ე პარაგრაფის საფუძველზე ჰენრი დეილს სსრ კავშირის საზიანოდ მიმართული საქმიანობისათვის ჩამოერთვას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის წოდება“.

ეს წინადადებაც მიღებულ იქნა ერთხმად.

ამის შემდეგ საერთო კრება შეუდგა დღის წესრიგის მესამე პუნქტის — ნორეგიელი ფილოლოგის ოლფ ბროკისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი კორესპონდენტის წოდების ჩამორთმევის საკითხის განხილვას.

ამ საკითხზე ინფორმაციისათვის სიტყვა მიეცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების აკადემიკოსმა-მდივანმა აკადემიკოსმა ი. ი. მეშჩანინოვმა.

აკადემიკოსმა მეშჩანინოვმა კრებას მოახსენა, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ოლფ ბროკი რეაქციული გაზეთის „ბორგენლოდეტის“ ფურცლებზე სისტემატურად ათავსებდა სხვადასხვა მონაკმოს და ცილისწამებას საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა კორესპონდენტმა ა. მ. გ�ილინმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ოლფ ბროკი მრავალი წელია ალარ აქვეყნებს ლინგვისტიკურ ნაშრომებს და დიდი ხანია ჩამოშორდა მეცნიერებას. ამბ. ეგეოლინი ახასიათებს ზროკის რომგრიც ფორმალისტ ენათმეცნიერს, რომლის ნაშრომებიც მოძველდა და მხოლოდ ისტორიულ ენათმეცნიერების განვითარებას. პროფესორმა ეგეოლინმა სავსებით დაუჭირა მხარი წინადადებას, რომ ბროკს ჩამოერთვას მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტის წოდება.

შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული დადგენილება, რომელშიც ნათქვამია:

„სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წესდების 24-ე პარაგრაფის საფუძველზე ოლფ ბროკს სსრ კავშირის საზიანოდ მიმართული საქმიანობისათვის ჩამოერთვას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტის წოდება“.

ამით დამთავრდა სესიის დილის პლენარული სხდომა.

ლენინგრადი, 11 იანვარი. (საკვლევი). დღეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამ სესიის პლენარულ სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო ჩვენი ქვეყნის მეცნიერების ისტორიისადმი, გრძელდებოდა კამათი მოხსენებათა გამო.

— საერთო კრებაზე და განყოფილებებზე მოსმენილ ვრცელ და სპეციალურ მოხსენებათა ფონზე ნოვეგი, — თქვა მან, — ჩვენს წინაშე გაჩნდა საკუთრებული მრავალფეროვანებით და დამოკიდებულებით წარმოსდგა ჩვენი ქვეყნის მეცნიერების წარსულის სიდიადე და მნიშვნელობა. კოსმოპოლიტ დამოკიდებულებით ფანატიზმ ნაჩვენები მეცნიერების ის მთელ რიგ წინანდელ ისტორიკოსთა ძირითადი დასკვნების მცდარობა, რომლებმაც ბევრი რამ არ იცოდნენ, სათანადოდ ვერ ფასობენ და მხედველობიდან ეპარებოდათ ჩვენი მეცნიერული და ტექნიკური აზროვნების უდიდესი პრინციპული მნიშვნელობის შედეგები. ჩვენს წინაშე წარმოსდგა დიადი მეცნიერება, ამოეფარვა თავისთავადი და მნიშვნელოვანი, როგორც ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება.

— ამასთანავე, — განაგრძო პრეზიდენტმა,— სესიის ნაშრომები ცხადყოფენ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყნის მეცნიერების ნ. მდგილ ისტორიის შექმნის დაწყებითის სტადიაში ვიმყოფებთან. უახლოეს წლებში ჩვენი მუშაობის გეგმები უნდა შეივსოს ჩვენი ქვეყნის მეცნიერების ისტორიაში წარმოებული გამოკვლევებით, რომელთა მიხედვითაც უნდა დაიწეროს ამ მეცნიერების სახელოვანი წარსული შესაფერი საფუძვლიანი ნაშრომი.

სესიაზე, თქვა შემდეგ აკადემიკოსმა ს. ი. ვავილოვმა, ბევრჯერ წარმოთქვეა დიდი რუსი ენციკლოპედისტის მ. ვ. ლომონოსოვის სახელი. თავის პირად მუშაობაში მარტო მას უხდებოდა ცოდნის სხვადასხვა დარგის გაერთიანება. საბჭოთა უდიდეს მეცნიერებთა აკადემიაში და მთ უფრო მთელ საბჭოთა მეცნიერებაში კოლექტიური პრინციპების ფართოდ გამოყენების ყველი შესაძლებლობა არსებობს.

სესიის შემდეგ ჩვენს ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში ჩვეულებრივ ყოველდღიურ მუშაობას რომ დავუბრუნდებით, დაგეგმდება 1949 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დიდი გეგმა, რომელიც მოიცავს თანამეგობრივ მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრ პრიველი რიგისა და დიდი მნიშვნელობის პრობლემას. დასახული ამოცანების სწორად გადაწყვეტამ ბევრ შუმხეგეგაში უნდა გააადვილოს საბჭოთა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მედიცინის განვითარება და ხელი შეუწყოს საბჭოთა კულტურის აღმავლობას.

— ჩვენი 1949 წლის გეგმა არის ჩვენი ვალდებულება სსრ საბჭოთა მთავრობის, საბჭოთა ხალხის წინაშე. ეს გეგმა ვადაზე და სათანადოდ უნდა შეკასრულოთ.

ს. ი. ვავილოვმა დღეგრძელობა უსურვა დიდ ბელადს, გენიალურ მეცნიერსა და მასწავლებელს ამხანაგ ი. ბ. სტალინს. სესიის მონაწილეენი მჭეხარე ოვაციას მართავენ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის სესიიმ მუშაობა დაამთავრა.

სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკები ახალი მიღწევებით ეგებებენ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობას

სერიოზული მიღწევებით ეგებებიან საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობას სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაციები, საწარმოთა მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია.

ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველად პარტიულ ორგანიზაციებში. ამ კრებებმა, საქალაქო და რაიონულმა პარტიულმა კონფერენციებმა დაადასტურეს კომუნისტების ერთსულოვანი დარაზმულობა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, სამეთოთა ხალხის დამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის დიდი სტალინის გარშემო.

გაიზარდა და განმტკიცდა ოლქის პარტიული ორგანიზაცია, ამაღლდა მისი იდეოლოგიური და ოლი, როგორც შრომმელთა ავანგარდისა და ორგანიზატორისა. პარტიის რიგებში შეიესო საბჭოთა სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული, ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდადებული ადამიანები. პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თავიანთი რიგების თვისობრივ განმტკიცებას, თვითეული კომუნისტის პოლიტიკურად და ორგანიზაციულად გამოწრთობას.

კომუნისტების პოლიტიკური განათლების საკითხი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში დგას. ახალი სასწავლო წლიდან საკრძნობლად გაფართოდა პარტიული განათლების ქსელი. ამჟამად ოლქში მუშაობს 99 პოლიტსკოლა, რომლებშიც გაერთიანებულია 1.631 მსმენელი, საკავშირო კ. კ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელი 92 წრე, რომელშიაც გაერთიანებულია 1.689 მსმენელი, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 30 წრე და სალამის პარტიული სკოლა. 151 კაცი გაერთიანებულია პარტიული და საბჭოთა აქტივის მუდმივმოქმედ სემინარებში. მარქსიზმ-ლენინიზმს დამოუკიდებლად ეუფლება 1.219 კომუნისტი.

მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელთათვის სისტემატურად ეწყობა ლექციები, მოხსენებები, კონსულტაციები, თეორიული კონფერენციები, ამხანაგური გასაუბრებანი. მრავალფეროვან მუშაობას ეწევიან პარტიული კაბინეტები. ისინი ნამდვილად იქნენენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრებად.

პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის პირველ დღეებში გამოვლინებულ იქნა ზოგიერთი ნაკლოვანება, რომელთა შესახებაც მიგვითითა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და პირადად ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა. ამ მითითებათა საფუძველზე პარტიულმა ორგანიზაციებმა ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა უფრო უკეთესად მოვაწყოთ კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმე.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება კომკავშირისადმი. ამან ხელი შეუწყო კომკავშირული ორგანიზაციების აქტიურობის ზრდას. საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული ჩვენი ოლქის ახალგაზრდობა ხუთწლედის ვადადე შესრულებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში დგას. კომკავშირული ორგანიზაციები თავიანთ რიგებს ზრდიან მოწინავე ახალგაზრდებით. კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებმა გაძლიერეს მუშაობა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში — კომკავშირული ორგანიზაცია შეიქმნა 70 კოლმეურნეობაში. მრავალი კომკავშირელი დგას უხვი მოსავლის ოსტატთა რიგებში.

ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთ მუშაობას კომკავშირისადმი დახმარებისა და ხელმძღვანელობის დარგში საფუძვლად დაუდეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ კ. ჩარკვიანის სიტყვა საქართველოს ალკა მე-17 ყრილობაზე 1948 წლის 27 დეკემბერს „საქართველოს კომკავშირის ზოგიერთი მორიგი ამოცანის შესახებ“.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებით პარტიულმა ორგანიზაციებმა აამაღლეს თავიანთი ბრძოლისუნარიანობა, უკეთესად ახორციელებენ ენერ კონტროლს სამეურნეო საქმიანობისადმი, სათავეში უდგანან საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის გაწეილ სოციალისტურ შეჯიბრებას, ყოველმხრივ უწყობენ ხელს შრომითს აღმავლობას.

საწარმოებში და კოლმეურნეობებში ფართოდ არის გაჩაღებული მზადება საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. სამხრეთ ოსეთის შრომელები შრომითს სარეკორდს უმზადებენ დედა-სამშობლოს.

საწარმოთა კოლექტივები საქმით ეხმაურებიან ნოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა პატრიოტულ ინიციატივას. ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში სასახელო წარმატება მოიპოვა სტალინირის ხე-ტყის საწარეზმა ქარხანამ. 1948 წლის დავალება ქარხნის კოლექტივმა პირველი დეკემბრისათვის 231,4 პროცენტით შეასრულა. ქარხნის კოლექტივმა უარი განაცხადა სახელმწიფოსაგან დოტაციის მიღებაზე 96 ათასი მანეთის ოდენობით და 120.000 მანეთის დაგროვება მოგვცა. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ენერგიულად იბრძვის კაჯაევის სახელობის სტალინირის ხე-ტყის კომბინატის კოლექტივი. წლიური საწარმოო დავალება ვადამდე შეასრულა სტალინირის ავურის ქარხანამ. ზნაურის რაიონის სოფელ წნელისის მახლობლად მუშაობს ტალკის ქარხანა. იგი მეტად საჭირო ნედლეულს ამზადებს ჩვენი მრეწველობისათვის. ამ ქარხნის კოლექტივმა წლიური გეგმა 18 დეკემბრისათვის 106 პროცენტით შეასრულა და სახელმწიფოს 108.400 მანეთის ზეგეგმითი დაგროვება მოცა. ახლა ქარხნის კოლექტივი იბრძვის ამისათვის, რომ იანვრის გეგმა შეასრულოს საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გახსნის დღისათვის — 25 იანვრისათვის.

ღირსეულად ასრულებს მის წინაშე დგომ ამოცანებს ჩვენი ოლქის კოლმეურნეები. კოლმეურნეობებმა თავიანთ საბრძოლო ამოცანად დასახეს განაბორიელონ ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლ. პ. ბერიას მითითება იმის შესახებ, რომ საქართველომ თავისი მოთხოვნილება პურზე თვითონვე დაკმაყოფილოს. ეს ამოცანა ფრთხილად ითვლება ყველა ბრიგადირი. ჩვენი ოლქი დაკმაყოფილებულია საკუთარი პურით. სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების 1948 წლის გეგმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეთ. ვადამდე იქნა განაღდებული აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმები.

მიუხედავად ხანგრძლივი და ძლიერი გვალვებისა, ოლქის მრავალმა კოლმეურნეობამ კარგი მოსავალი მოიყვანა. გამრავლდა უხვი მოსავლის ოსტატთა რიცხვი. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვეს და საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 100 და უფრო მეტი ფუთი შემოდგომის პური მოიყვანეს ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანებმა — ბ. მარგიევმა (ლენინგორის რაიონი, სოფელი წინაგარი), კ. მარგიევმა (ლენინგორის რაიონი, სოფელი წოლდა), ვ. ტარიელაშვილმა (სტალინირის რაიონი, სოფელი ერედვი), მ. მიდოდაშვილმა (სტალინირის რაიონი, სოფელი არგვეი). ლენინგორის რაიონის სოფელ ლარგვისის კოლმეურნეობის ფოწინაე ადამიანმა დიმიტრი ბაგულოვმა ჰექტარზე 45 ცენტნერი სიმინდი მოიღო. ამავე რაიონის სოფელ ახალდაბის კოლმეურნეობის სტახანოველმა ქალმა პელაგია კიბილოვამ ჰექტარზე 53,3 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

1948 წელს კოლმეურნეობებმა შაქრის ჭარხლი დათესეს 150 ჰექტარით მეტი, ვიდრე 1947 წელს. სულ ჭარხალი დათესილი იყო 800 ჰექტარზე. ხანგრძლივი გვალვის პირობებში სარწყავი სისტემის მაქსიმალურად გამოყენებით კოლმეურნეობებმა შეძლეს შაქრის ჭარხლის ნათესების მოვლის საუკეთესოდ მოწყობა და მოსავალიც კარგი მოიყვანეს. სამხრეთ ოსეთში წინა წლთან შედარებით 1948 წელს საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 40 ცენტნერით მეტი შაქრის ჭარხალი იქნა მიღებული. კოლმეურნეობებმა მოლიანად შეასრულეს სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის ჩაბარების წლიური გეგმა. მთელ რიგ კოლმეურნეობებში თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 300-400 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. სტალინირის რაიონის სოფელ თამარაშენის კოლმეურნეობის მერგოლურმა ანეტა გოგიძემ მისი რგოლისათვის მიჩენილი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 792 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღო. ამავე კოლმეურნეობის მოწინავე მეკარხლემ დ. ნასუაშვილმა ჰექტარზე 981 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა, კოლმეურნე ანა ტეკაევამ — 839 ცენტნერი, ლენინგორის რაიონის სოფელ კომუნის კოლმეურნეობის წევრმა ვ. კალიევამ—600 ცენტნერი, ნ. დუდაევამ—544 ცენტნერი და სხვ. მოსავლიანობის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი უკანასკნელ წლებში ამენებულმა კეხვის სარწყავმა არხმა.

წლითიწლობით იზრდება ვენახის ფართობი. ახლა ვენახის ფართობი ოლქში 767 ჰექტარს აღწევს. 1948 წელს მევენახე კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ყურძნის მოსაღლიანობის გეგმა. სტალინირის რაიონის სოფელ თამარაშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 35 ცენტნერის ნაცვლად 104 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. ამავე კოლმეურნეობის გამოცდილმა მევენახემ ლადო დათაშვილმა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 133 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანეს ლენინგორის რაიონის ყანჩაფეთის, წორქმოლის, სტალინირის რაიონის ქურთის, ქსუალის, ზნაურის რაიონის ნულის და სხვა კოლმეურნეობების მევენახეებმა.

სწრაფი ტემპით ვითარდება მეხილეობა. ოლქში ხეხილის 2.430 ჰექტარი უკავია. ფართოდ იყო გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება გორელ მეხილეთა მოწოდების პასუხად. 1948 წელს ხილის დიდძალი მოსავალი მივიღეთ. ზნაურის რაიონის სოფელ თორმანულის კოლმეურნეობის მებაღეებმა ივანე ბეკოევმა და გრიგოლ ჯაგაევმა თვითეულ ჰექტარ ბაღში საშუალოდ 122,3 ცენტნერი ხილი მოკრიფეს. სტალინირის რაიონის სოფელ ბერულის კოლმეურნეობის მებაღემ ივანე მაისურაძემ ჰექტარზე მოიყვანა 158,6 ცენტნერი ხილი, ამავე რაიონის სოფელ ერედვის კოლმეურნეობის მებაღემ ალექსი ბაციკაძემ — 180 ცენტნერი და სხვ.

კოლმეურნეობებმა ფართოდ მოჰკიდეს ხელი ტყის ხეხილზე საუკეთესო ჯიშების ვაშლისა და მსხლის დამყნას. დამყნობილია ათეულ-ათასობით ძირი ხეხილი. პირველი ნაყოფი საუცხოოა. განზრახულია უფრო გავაფართოოთ ეს საქმე, რაც შესაძლებლობას მოგვცემს გვქონდეს საუკეთესო ჯიშის ხეხილის ტყეების ფართო მასივები.

სამხრეთ ოსეთი მდიდარია ტყეებით. აქ დამზადებული ხე-ტყის მასალით მარაგდება ბევრი მნიშვნელოვანი საწარმო და მშენებლობა. ტყის დაცვას სერიოზული ყურადღება ეთმობა. საზოგადოება „ტყის მეგობრის“ ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში—ტყის გამრავლებასა და დაცვაში.

წლითიწლობით მატულობს პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა. ამ საქმეში ბევრმა კოლმეურნეობამ თვალსაჩინო წარმატებს მიაღწია. მაგალითად, ჯავის რაიონის სოფელ ბრიტაფის კაგანოვის სახელობის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოშენების გეგმა შესრულებულია აქვს 116 პროცენტით, წვრილფეხა რქიანი პირუტყვისა—106 პროცენტით, ცხენისა—122,2 პროცენტით. მეცხოველეობის განვითარების საქმეში წარმატება მოიპოვეს ჯავის რაიონის სოფელ ზემო როკის, სტალინირის რაიონის სოფელ არგვეცის, ზნაურის რაიონის სოფელ ირნის და სხვა კოლმეურნეობებმა. ოლქში მეცხოველეობის განვითარების მხრივ ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს ლენინგორის რაიონს, რომელმაც მთლიანად შეასრულა მეცხოველეობის განვითარების შარშანდელი გეგმა ცალკეული სახეობის მიხედვით. ამ რაიონში ნაყოფიერად მუშაობენ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. ლენინგორის რაიონის მეცხვარეებმა გამოცდილი ზოოვეტპერსონალის დახმარებით ადგილობრივი ჯიშის ცხვრთან შეაჯვარეს რამბულეიეს ჯიშის ცხვარი და მიიღეს ცხვრის ახალი ჯიში—ქსანური. ცხვრის ამ ახალ ჯიშს რაიონში დღედ გავრცელებულ ჯიშთან შედარებით ბევრი უპირატესობა აქვს. ქსანური ცხვარი უკეთესად ეგუება ადგილობრივ პირობებს, უფრო სწრაფად მრავლდება. თუ ადგილობრივი ჯიშის ცხვარი წელიწადში 2,5-2,8 კილოგრამ მატყლს იძლევა, ქსანურისაგან 4-5 კილოგრამ მატყლს იღებენ, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტს. ქსანურის მატყლიც ხარისხით გაცილებით უკეთესია. ლენინგორის რაიონში ქსანურის ჯიშის 7.000-მდე სული ცხვარი ჰყავთ. ამ ახალი ჯიშის ცხვარს მომავალში მოაშენებენ ოლქის დანარჩენ რაიონებშიც.

სოფლის მეურნეობის დარგში წარმატებანი უფრო მეტი გვექნებოდა, რომ ყველა კოლმეურნეობებში სათანადო სიმაღლეზე იდგეს შრომის ორგანიზაცია, არ იყოს არტელის სტალინური წესდების დარღვევის შემთხვევები. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალია შრომის დისციპლინა. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისადმი, დაეხმარონ მათ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

სამხრეთ ოსეთის კულტურულ-ეკონომიურ აღმავლობას დიდად შეუწყო ხელი ფართოდ გაშლილმა საგზაო მშენებლობამ. გაფართოდა და ახლად იქნა გაყვანილი გზები: ლენინგორი — ლარგვისი — ქარჩხიხი, სტალინირი — როკი, ზნაური—ავნეკი, სტალინირი — ლენინგორი, სტალინირი — წნელისი. დიდი მუშაობა იქნა გაწეული გუფთა—ჩასალის გზის მშენებლობაზე.

მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა მშრომელთა კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებით გაძლიერდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ომისშემდგომ წლებში. მშენებლობა გაჩაღებულია როგორც ქალაქად, ისე სოფლად. საკოლმეურნეო წყობილების ცხოველმყოფელმა ძალამ გლეხობას შესაძლებლობა მისცა იცხოვროს შეძლებულად და კულტურულად. ბევრმა კოლმეურნეობამ ააგო საკუთარი ელექტროსადგური. ილიჩის ნათურებმა გაანათა კოლმეურნეთა ბინები. მიმდინარეობს ახალი საკოლმეურნეო ელექტროსადგურების მშენებლობა. სოფლად ფართოვდება რადიოფიკაცია. უახლოესი ორი წლის განმავლობაში რადიოფიცირებულ იქნება სტალინირის რაიონის ყველა სოფელი. სტალინირელთა მაგალითს ბაძავენ ოლქის სხვა რაიონებიც. გაჩაღებულია საკოლმეურნეო კლუბების, კინოტარიების, ბანაობების მშენებლობა.

მშრომელებს კულტურულ მომსახურებას უწევენ ათობით კლუბი, ბიბლიოთეკა, ქოხ-სამკითხველო, სახელმწიფო თეატრი, კინო. დიდი ყურადღება ეთმობა რაიონული ცენტრების კეთილმოწყობას. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგად მეშობენენ ლენინგორში.

სრულიად შეიცვალა სახე ოსეთის დედაქალაქმა. ახლა სტალინირი კეთილმოწყობილი ქალაქია. აშენდა მრავალსართულიანი შენობები. ვიწროა ქუჩების ნაცვლად გვაქვს განიერი, მოასფალტებული ქუჩები. დიდი მუშაობაა გაწეული ქალაქის გაიზრდებისათვის. ქუჩების სანაპიროებზე და სკვერებში ყოველწლიურად ათიათასობით ძირი დეკორაციული ხე ირგვება. ქალაქს აქვს კინო, თეატრი, სასტუმრო, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, პედაგოგიური ინსტიტუტი, მუშობენ სკოლები, პედსასწავლებელი, ზოოტექნიკუმი, მუსიკალური სკოლა, სამხატვრო ტექნიკუმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. ნურაფად იზრდება ქალაქი სტალინირი, მას ყოველწლიურად ემატება ათობით ახალი შენობა.

სისტემატურად იზრდება ჩვენი ოლქის მშრომელთა მოთხოვნილება პოლიტიკური ლიტერატურისადმი. ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად უკანასკნელ ხანებში განხორციელებულია მთელი რიგი ღონისძიებანი. ოსურ ენაზე გამოიცა ი. ბ. სტალინის გეგალური ნაშრომები „ლენინიზმის საკითხები“, „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, ორჯერ გამოიცა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“. ოსურ ენაზე გამოცემულია ი. ბ. სტალინის ბიოგრაფია, ვ. მ. მოლოტოვის ნაშრომები, ლ. პ. ბერიას წიგნი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, კ. ჩარკვიანის მოხსენებები, სიტყვები და სხვ.

ომამდელის გზით მიდის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ოსური ლიტერატურა. ომამ მწერლებმა და პოეტებმა: ე. ბეკოევმა, რ. ჩრჩიევმა, ფ. გალოევმა, დ. კუსოევმა, ი. კაკაზაგმა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შექმნეს ოსი ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლის თემაზე. გამოიცა ნიკიერი ოსი მწერლისა და დრამატურგის მუხტარ შაველოხოვის ნაწარმოებთა პირველი ტომი. 1949

პარტიულ კონფერენციებზე

ამბროლაური

შედგა ამბროლაურის რაიონული პარტიული კონფერენცია. საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ჯიჭინაძემ.

—რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ, — აღნიშნა მომხსენებელმა, — პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებით შესძლო მშრომელთა დარაზმვა მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

რაიონის მშრომელებმა სასახელოდ შეასრულეს ბელადისათვის მიცემული პირობა და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 2 ათასი ცენტნერი ყურძენი.

ამ ბოლო ხანებში გაუმჯობესდა სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობაც, ამაღლდა კომუნისტთა თეორიული მომზადების დონე.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად.

ახლადარჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. ჯიჭინაძე, მეორე მდივნად — ამხ. მ. ბიბილაშვილი, მდივნად კადრების დარგში — ამხ. გ. ჯინჭარაძე.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი ამხ. ვ. რობაქიძე. **(საკ. კორ.).**

ყაზბეგი

ორ დღეს მიმდინარეობდა ყაზბეგის V რაიონული პარტიული კონფერენცია. კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ბექაურმა.

— საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილების განხორციელების საფუძველზე, — თქვა ამხ. ბექაურმა, — რაიონის მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. საგრძნობლად გაზეთარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა. რამდენიმე წლის მანძილზე რაიონის კოლმეურნეობებში ცხვრის სულადობა 31.599-დან 75.300-მდე გადიდდა. იმატა პირუტყვის პროდუქტიულობამ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 20 ამხანაგმა.

კონფერენციამ რაიკომის პრაქტიკული მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად, პოლიტიკური ხაზი — სწორად და მიღო რეზოლუცია.

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. ბექაური, მეორე მდივნად — ამხ. შ. ღუდუშაური და მდივნად კადრების დარგში ამხ. ფ. თამასხანაი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა ორგანიზატორმა ამხ. ი. ოქროაშვილმა. **(საკ. კორ.).**

კასპი

კასპის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ქველაძე.

— რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, — თქვა მომხსენებელმა, — საანგარიშო პერიოდში ფართოდ გაიჩაღეს ბრძოლა უხვი მოსავლისათვის. გაუმჯობესდა ხელმძღვანელობა კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმისადმი.

ამხ. ქველაძემ გააკრიტიკა ნაკლოვანებანი კასპისა და ახალქალაქის მტკების მუშაობაში.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად, პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად.

რაიკომის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. ქველაძე, მეორე მდივნად — ამხ. გ. ბუჯიაშვილი, მდივნად კადრების დარგში — ამხ. ა. გორგოლაძე.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ვ. ეგნატაშვილმა. **(საკ. კორ.).**

წალკა

წალკის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ხარისჩარაშვილმა.

— საანგარიშო პერიოდში, განაცხადა მომხსენებელმა, — რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა. რაიონსა, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად, პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად და მიიღო სათანადო რეზოლუცია.

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ი. ხარისჩარაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ა. მაკაროვი, მდივნად კადრების დარგში — ამხ. ი. კოჩოვი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს რწმუნებულის მოადგილემ საქართველოს სს რესპუბლიკაში ამხ. გ. კირიაკოვმა. **(საკ. კორ.).**

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის II პლენუმი

შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის II პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტში სამუშაოდ გადასვლის გამო პლენუმმა ამხ. თ. ქვლიციძე გათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. ნ. ჟვანია და შეიყვანა იგი ბიუროს შემადგენლობაში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ზამბახიძემ.

ტრაქტორების რემონტი

აღმოვუხვრათ შემაფერხებელი მიზეზები, შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულება

საგარეჯოს მტს-ს სერიოზული ამოცანები აკისრია. კაჭრეთელი ძექანიზატორების მოწოდების პასუხად ნაკისრი ვალდებულების მიხედვით მტს-მა ვადამდე 10 დღით ადრე უნდა დაამთავროს ტრაქტორების, გუთნების, სათესების, სარეველების და კულტივატორების რემონტი, კომბაინები კი ვადაზე ერთი თვით ადრე შეაკეთოს.

ამ ვალდებულების შესრულებისათვის მტს-ის სახელოსნოში ყოველდღიურად ათი სამონტაჟო და შვიდი საკვანძო ბრიგადა მუშაობს. ყველაზე კვალიფიციური მუშაკების ხელმძღვანელობით საკვანძო ბრიგადები ამზადებენ მეტად მნიშვნელოვან ნაწილებს: მოუდმახარა მექანიზმებს, ჰიდრამბალნაწილებს, ელექტრომოწყობილობას და მრავალ სხვას, დანარჩენ ბრიგადები კი „უზრუნველყოფენ ტრაქტორების დაშლას, გარეცხვას, გაწმენდას და მონტაჟს. რემონტის საქმეში განსაკუთრებულ წარმატებას აღწევენ ბრიგადირი ს. ხატაშვილი და ზეინკალი ა. ბრატკოვი.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ მთლიანად მტს-ში უზრუნველყოფილი არ არის ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტის წარმატებით დამთავრება. შესაკეთებელი ტრაქტორების დიდი უმრავლესობა, აგრეთვე კომბაინები და ბევრი სხვა მანქანა, უბინობის გამო ღია ცის ქვეშ, თოვლსა და ყინვაშია დაყენებული. რემონტის დროზე შესასრულებლად სახელოსნოში ერთდროულად 20-25 ტრაქტორი უნდა იყოს მოთავსებული, ფაქტიურად ამის ნახევარიც ვერ თავსდება. სახელოსნოში ისეთი სიიწროვეა, რომ ზოგჯერ გაკლაც შეუძლებელი ხდება. ამასთანავე რემონტისათვის საჭირო ნაწილებისა და მასალების უქონლობის გამო ბევრი მუშაკი მომცდარია. რემონტისათვის არ გაიჩნიათ საკისრები, უკანა ხიდისა და სიჩქარის კბილანები, უკანა ხიდის კორპუსი, ცილინდრი, ძრავის წინა ხუფი და მრავალი სხვა, რაც ადგილობრივ ვერ გაკეთდება. გარდა ამისა, რემონტისათვის საჭიროა სულ მცირე ხუთი ტონა სხვადასხვა სახის რკინა. ფაქტიურად გასული წლის შემოდგომიდან დღემდე მხოლოდ ნაწილური ტონა რკინა მიიღეს და ისიც მხლოდ ერთი სახის.

რემონტს ხელს უშლის ცალკეული მუშაკების უდისციპლინობა და უპასუხისმგებლობა. მაგალითად, მეოთხე სტრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტს ვ. საფარაშვილს თავისი ტრაქტორი 20 დღეზე მეტია დაშლილი აქვს, საქმის მოთავება ათი დღის წინათაც შეეძლო, მაგრამ ზმირად აცდენს დროს და დაგვიანება სამესამედოდაც არა აქვს შესრულებული. ასევე უპასუხისმგებლოდ იქცევა მეათე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტი ვ. ხუციშვილი. დღეებს აცდენენ აგრეთვე ნ. შუბინი, ს. მესროფოვი, ვ. ქვიმთელელიშვილი, მ. ფარეშიშვილი, დაზგას სათანადოდ არ უვლის ხარატი ბ. კვერაშვილი; ჩარხების ამუშავებას ზმირად აგვიანებს მოტორისტი ფ. ქვრივიშვილი.

მტს-ის ხელმძღვანელობა (დირექტორი ამხ. ვ. კაპანაძე, უფროსი მექანიკოსი ამხ. ი. აბაზოვი) ვალდებულია მიაღწიოს დისციპლინის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და ჩამორჩენი უახლოეს დროში გამოასწოროს.

საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მტს-ს აკლია 10 გუთანი, ამდენივე სოფი, 5 სათესი. კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს მუშათა საცხოვრებელი სახლი, დ.-ჩქარებით უნდა გაკეთდეს ახალი ფარდულები, უკეთ მოეწყოს სახელოსნო.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროო ვალდებულია მიიღოს გადამჭრელი ზომები საგარეჯოს მტს-ის მუშაობის საფუძველიანი გაუმჯობესებისათვის.

ტ. თოდრაძე

აქ ითვალისწინებენ შარშანდელ გაკვეთილს

შარშან გალის მტს-ის მომსახურებაში მყოფ კოლმეურნეობებს სიმინდის მოსავლიანობის გეგმა არ შეუსრულებიათ. მაგალითად, სოფელ ოტობაიას კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძსა“ და „მშრომელ გლეხში“ ტრაქტორებით მოხხულ 285 ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 14,7 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17,19 ცენტნერისა, პირველი გალის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში კი 9,6 ცენტნერი. ასეთივე მდგომარეობაა თავიანთის ჯორჯილოვის, ჟდანოვისა და კალინინის სახელობის კოლმეურნეობებში. ეს ფაქტი მოწმობს სატრაქტორო ბრიგადების არაკეთილხარისხოვან მუშაობას, რაც ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტის ცუდი ხარისხის ბრალიც იყო.

აქედან საჭირო დასკვნა უნდა გამოეტანათ მტს-ის დირექციას და პარტიულ ორგანიზაციას. მაგრამ ასე არ მოხდა. ტრაქტორების საშემოდგომოსაზამთრო რემონტი, 16 აგვისტოს ნაცვლად დაწყებულ იქნა ნოემბერში. 1949 წლის 8 იანვრამდე 18-ის ნაცვლად გაარემონტეს მხოლოდ 7 ტრაქტორი და ამდენივე გუთანი. როგორც ტრაქტორისტის, ისე გუთნეების, კულტივატორებისა და სათესების შეკეთება ახლაც ნელი ტემპით მიმდინარეობს. რემონტი ღია ცის ქვეშ წარმოებს. თუმცა ახლახან ადგილობრივი რესურსებით ააშენეს ახალი ქვეტაკრის სტანდარტული სახელოსნო, მაგრამ საჭირო დაზგებისა და მოწყობილობის უქონლობის გამო აქ სამუშაოს ნორმალურად წარმართვა შეუძლებელია.

ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტის კვალუურზე გამოწეულია იმით, რომ გალის მტს-ის დირექციამ (დირექტორი ამხ. ბ. გითოლენდია) დროზე არ მიიღო ზომები სარემონტო მასალისა და მოწყობილობის შესაძენად, რემონტის დაწყება ორნახევარი თვით დაგვიანეს, სარემონტო ბრიგადებსა და სახელოსნოში. მოუგვარებელია შრომა, დაბალია შრომის დისციპლინა და ვხვდებით სამუშაოს უხარისხოდ შესრულებას.

ს. ზონია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კინო

ფილმი ბუნების დიდ გარდამქმნელზე

მოსკოვის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „მოსფილმის“ ახალი ფერადი მხატვრული ფილმი „მიჩურინი“ მიძღვნილია სახელოვანი მეცნიერის, ბუნების დიდი გარდამქმნელის ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინისადმი.

ფილმში ასახულია მეცნიერ-პატრიოტის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი მგზნებარე სიყვარული თავისი სამშობლოსა და ხალხისადმი.

ფილმი იწყება მიჩურინის მშობლიურ ქალაქ კოზლოვში ამერიკელთა ჩამოსვლით. ცნობამ მიჩურინის მეცნიერულ მიღწევებზე მიაღწია შორეულ ამერიკამდე. ამერიკელი პროფესორი მიიერა და კამპანელის ბერდი ცდილობენ მოისყიდონ მიჩურინი. ისინი ყველაფერს პირდებიან მას, თუ კი დათანხმდება ამერიკაში წასვლას. მაგრამ მგზნებარე პატრიოტი მტკიცედ უპასუხებს მათ: „მე რუსი ვარ, და არ არსებობს არც ისეთი ფული, არც ისეთი გემი, რომლითაც შეიძლებოდეს ჩემი წაყვანა სამშობლოდან“.

რეჟისორის მიერ ფილმში შეტანილი ეს სცენა ისტორიული სიმართლეა. ამერიკელები არაერთხელ ცდილან შეეყიდნენ მიჩურინის სანერგე. დიდი მეცნიერი თვითონ ამბობს ამის შესახებ:

„ამერიკის შეერთებული შტატების სასოფლო-სამეურნეო დეპარტამენტმა ომამდე რამდენჯერმე მოაგზავნა თავისი რწმუნებულები ბოტანიკოსი ჩემს სანერგეში საქმის გითარების გასაცნობად და ბოლოს 1912 წელს წინადადება მომეცა გადავსულიყავი ამერიკაში და დიდი ჯილდოსათვის განმეგრძო იქ მუშაობა“.

ფილმში ნაჩვენებია უდიდესი გაჭირვება, რომელშიც მიჩურინს უხდებოდა მუშაობა მეფის ხელისუფლების დროს. ეკიცა მაზოლეკა უკეველნარად აციწროებდნენ მას. ხუცესი ქრისტეფორე, თავისი ბატონების დავალებით, აუტანელ ატმოსფეროს ქმნიდა მის გარშემო. მიჩურინის წინააღმდეგ დაინაზმა რეაქციონერ მეცნიერთა მთელი ჯგუფი პროფესორ კარტაშოვის მეთაურობით. მაგრამ მიჩურინი არ უშინდება ბრძოლას, არ კარგავს თავისი საქმის რწმენას.

მაყურებელი ხედავს მეცნიერის შემოქმედებითი მეშობის ამაღელვებელ კადრებს. ფილმში ნაჩვენებია, თუ რა შეუპოვრობითა და დაჟინებით მუშაობდა მიჩურინი წლების განმავლობაში, რათა მიეღწია დასახული მიზნისათვის. ცალკეული ცდების წარუმატებლობა ვეღარ უტეხდა მას. მიჩურინი ღრმად სწავლობდა ბუნებას, ეჩიჭეოდა შესაფერ ნიადაგს თავისი სანერგეოათვის. ორი წლის მანმე მუშობა დასჭირდა მიჩურინს, რომ ახალ, შესაფერ ადგილზე გადაეტანა თავისი სანერგე. გადატანის დროს მრავალი ძვირფასი ნერგი დაიღუპა. მიჩურინი საშინელ ვაჭრეებებში ჩავარდა. მას არ გააჩნდა არავითარი სახსარი მეცნიერული მუშაობის განსაგრძობად. მრავალი წლის შრომის დაკარგვის შინაგ აიძულებს მას, აბანაგების ჩჩვეთი, დახმარებისათვის მიმართოს მიწათმოქმედების დეპარტამენტს. მაგრამ ამ ცდას წარმატება არ მოყოლია. მეფის მოხელეებისაგან დაცინვისა და შეურაცხყოფის მეტი ვერაფერი მიიღო მეცნიერმა.

მიჩურინი კვლავ განაგრძობს შეუპოვარ მუშაობას. მაგრამ დგება დღეები, როდესაც მას ადარც სუნთქვა აქვს და ალარც ძალა მუშაობის განსაგრძობად. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი მიცა მეცნიერს დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც გადაარჩინა მიჩურინს სამქმე.

სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელებმა ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა აღმოაჩინეს მიჩურინი და საბჭოთა ხალხს საკუთრებად გადაეცა. ეგრეთ-შეიდემანის სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ დიდი სასახური გაუწია ბერეუეზიას, მოატყუა, მოდოკა ალაი პატარა რეფორმების გატარებით და შეძლო რევოლუციის წინასწარ შეჩერება. რევოლუცია არ გასცილდა ბურჟუაზიულ ჩარჩოებს, თუმცა მას ჰქონდა სათანადო ობიექტური პირობები სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის. გერმანიაში სოციალისტურმა რევოლუციამ რომ ვერ გამარჯვება, ამის მთავარი მიზეზები იყო: მუშათა კლასისადმი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ღალატი და მუშათა რევოლუციური პარტიის, კომუნისტური პარტიის არარსებობა. „პარტიის ისტორია,—ამბობს ამხანაგი სტალინი, — გვასწავლის, უწინარეს ყოვლისა, რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება, პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება შეუძლებელია ისე, თუ არ არსებობს პროლეტარიატის რევოლუციური პარტია, რომელიც თავისუფალია ოპორტუნიზმისაგან, შეურიგებელია შემთანხმებლებისა და კაპიტულანტების მიმართ, რევოლუციურია ბურჟუაზიისა და მისი სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ“.

გერმანიის კომენისტური პარტია შეიქმნა 1918 წლის დეკემბრის დამლევს, როდესაც „სპარტაკის“ კავშირი გაერთეო დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

რაც დრო გადიოდა, კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მდგომარეობა მუშების მოღალატე სოციალ-შოვინისტების დახმარებით უფრო მტკიცდებოდა. ბურჟუაზია ცდილობდა პროვოკაციის გზით გამოეწვია მუშების შეიარაღებული გამოსვლა, რომ შემდეგ იგი სისხლში ჩაეხრჩო. ებერტ-შეიდემანის მთავრობა თავს უყრიდა კონტრრევოლუციურ ძალებს და ენერგიულად ემზადებოდა რევოლუციურ მუშათა განადგურებისათვის. ბერლინის მუშათა შეიარაღებული გამოსვლა, რომელიც 9 იანვარს დაიწყო, 12 იანვარს სასტიკად დამარცხდა. ქეიზები მუშათა სისხლით მოირწყო, კონტრრევოლუციური ბურჟუაზია ჯალათი ნოსკეს მეთაურობით გამარჯვებას ზეიმობდა. კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი, რომელთა წინააღმდეგ ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა სასტიკ, აღვირახსნილ კამპანიას ეწეოდა, დაპატიმრებულ იქნენ. თეთრგვარდიელმა ოფიცრებმა სოციალ-დემოკრატიული მთავრობის განკარგულებით საშინელი წამების შემდეგ მოკლეს მუშათა კლასის ბელადები კ. ლიბკნეხტი და რ. ლუქსემბურგი.

როზა ლუქსემბურგსა და კარლ ლიბკნეხტს თავიანთ ძოღვაწეობაში სეროიზული შეცდომებიც ჰქონდათ, რასთვისაც ისინი არაერთხელ გაუკრიტიკებიათ ლენინსა და სტალინს. მიუხედავად შეცდომებისა, კ. ლიბკნეხტსა და რ. ლუქსემბურგს დიდი დამსახურება მიეძღვით მსოფლიო მუშათა რევოლუციური მოძრაობის წინაშე.

დიდი ლენინი, როდესაც ლიბკნეხტსა და ლუქსემბურგის საზეიმოდ მკვლელობის ამბავი შეიტყო, წერდა:

„მსოფლიო პროლეტარული ინტერნაციონალის საუკეთესო ადამიანების, სარეთაშორისო სოციალისტური რევოლუციის დაუვიწყარი ბელადების სიცხელი მუშათა ახალ-ახალ მასებს გამოაწრთობს სამკედრო-სახიცოცხლო ბრძოლისათვის“.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მუშათა კლასისადმი ღალატით შეძლო რევოლუციისათვის თავის მოკვეთა, კაპიტალისტთა და მემამულეთა ინტერესების დაცვა და მათი მდგომარეობის განმტკიცება. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და მისმა ბელადებმა თავიანთი მოქმედებით შემდეგში გზა გაუკაფეს და ხელი შეუწყეს ჰიტლისტიან ჰიტლერს, რომ იგი გერმანიის ხელისუფლების სათავეში მოქცეულიყო. ფაშიზმის ბატონობის პერიოდი ყველაზე სამარცხვინო, ყველაზე საძულველი, შავბნელი ხანაა გერმანიის ისტორიაში. ჰიტლერელებმა, რომლებმაც მოსპეს მშრომელთა ყველა დემოკრატიული მონაპოვარი გერმანიაში, იმპერიალისტური ომი გაიჩაღეს მთელი მსოფლიოს დაპყრობისათვის. კაცობრიობა უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მაგრამ დემოკრატიულმა ძალებმა საბჭოთა კავშირის მეთაურობით გაანადგურეს ფაშისტური გერმანია. საბჭოთა კავშირმა იხსნა მსოფლიო ცივილიზაცია, გათავისუფლა ჰიტლერელი გერმანიის მოერ დაპყრობილი ქვეყნები

დღეს გერმანია ერთიან სახელმწიფოს არ წარმოადგენს, რაც აიხსნება იმით, რომ ინგლის-ამერიკა-საფრანგეთის მმართველი წრეები წინააღმდეგი არიან გერმანიის ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისა. ამჟამად სულ სხვადასხვანაირი სურათია აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში. გერმანიის ოკუპაციის ამერიკულ, ინგლისურ და ფრანგულ ზონებში მშრომელი მასების მდგომარეობა ოდნავაც არ შეცვლილა. იქ კვლავ ბატონობენ მსხვილი მონოპოლიები, საწარმოები კაპიტალისტების ხელშია, მიწები ისევ მემამულეებს ეკუთვნით, მშრომელები კვლავ ემონაენენ კაპიტალის მძიმე უღელ ქვეშ. შიმშილი და სიცივე სულს უხუთავს მათ. დღითიდღე მატულობს უმუშევრობა, მცირდება მუშათა ხელფასი. და აი ამ დროს სოციალ-რეფორმისტები კვლავ განაგრძობენ საზიზღარ მოქმედებას. თავიანთი ტრადიციების ერთგულნი, ისინი მხარს უჭერენ კაპიტალისტებს მუშების წინააღმდეგ, ეხმარებიან ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტებს, რომ დაიმონონ დასავლეთ გერმანიის ხალხი და გამოიყენონ იგი ახალი ომისათვის.

სულ სხვა მდგომარეობაა გერმანიის საბჭოთა სოციუალიო ზონაში. საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების მოწონებით მხარეთა მთავრობებმა მსხვილ კაპიტალისტებსა და იუნკრებს ჩამორთვეს ხალხის საკუთრებად გამოაცხადეს საწარმოები და მიწები. განუზრელად იზრდება შრომის ნაყოფიერება საწარმოებში, რომლებიც ხალხის ხელშია, იზრდება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი და უმჯობესდება მათი მატერიალური მდგომარეობა. განხორციელებულია მმართველობის თელი რიგი დემოკრატიული ღონისძიებანი. ის, რისთვისაც მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდნენ გერმანიის პროგრესული ადამიანები, უკვე ხორციელდება საბჭოთა საოკუპაციო ზონაში.

30 წელი გავიდა კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის ერთგული მოკვლის დღიდან. მათი ხსოვნა უკვდავია თავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის მებრძოლთა შორის.

ბ. ფირცხალავა

„ნეიშნ ასოშიეიტსის“ ცნობა ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველად ჰიზბულლეების გამოყენების შესახებ

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. (საკდესი). „ნეიშნ ასოშიეტსმა“ (ლიბერალური ორგანიზაცია, რომელიც უშვებს ჟურნალ „ნეიშნს“) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიგვე ლის, აგრეთვე უშიშროების საბჭოს წევრებსა და ტრემენს გადასცა საფრანგეთის დაზღვერვის 1948 წლის 8 დეკემბრით დათარიღებული საიდუმლო მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისელებმა ეგვიპტეში გაათავისუფლეს 6 ათასი ყოფილი გერმანელი სამხედრო ტყვე, რათა ისინი ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ ომში გამოიყენონ.

საფრანგეთის დაზღვერვის ცნობაში ნათქვამია, რომ არაბთა არმიებს ამას წინით დიდი ზარალი მოუვიდათ და ამჟამად მათი რეორგანიზაცია ხდება ინგლისელთა დახმარებით. ინგლისელებმა ნება დართეს ეგვიპტელებს მოხალისეები შეაგროვონ სამხედრო ტყვეთა ეგვიპტის ამ ბანაკებში, რომლებიც ინგლისის ხელისუფალთა გამეგებლობითა. თვითეულ მოხალისეს სთავაზობენ 100 გერეანქსა სტერლინგს და აძლევენ ეგვიპტეში ცხოვრების გარანტიას პალესტინაში ომის დამთავრების შემდეგ.

ამჟამად 6 ათას გერმანელს, რომლებიც ორ სპეციალურ „ა“ და „ბ“ ბრიგადას შეადგენენ, ყურნინგი მერსა-ბატერსისა და ეს-სალეთის რაიონში. თვითეული ბრიგადა შედგება სამი ბატალიონისაგან, რომელთაც აქვთ გერმანული ნიმუშის მძიმე საჭურველი, რაც ჰიტლერელი გენერლის რომელის არმიისაგან დარჩა. ეგვიპტეში, ლიბანში, ერაყში და გერმანელი ხამალლების ტყვეწყაკანელ ეკიპაჟებს შორის შეგროვებულია 500-მდე კაცი—უმეტეს მეთაოთა შემადგენლობა. გენერალები შეგროვება ხდება მხოლოდ გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში. არაბთა შეიარაღებულ ძალებში აღმოჩენილი არიან შემდეგი ყოფილი გერმანელი გენერლები:

სს ჯარების გრუპენფიურერი დირლ ვანგერი—ერაყ-ბრანსიორდანის ომალელს სარდლობაში, პალესტინაში. დირლ ვანგერი მოხსენიებულია სამხედრო დამნაშავეთა რამდენიმე სიაში. ოგი სს სპეციალურ დივიზიას მეთაურობდა სამხეთთა კავშირისა და პოლონეთის ტერიტორიაზე.

სს ჯარების ობერგრუპენფიურერი ვოლფი, რომელიც სირიის არმიის შტაბში იმყოფება, სადაც ოგი სამხედრო მრჩეველად მსახურობს. ვოლფი მეთაურობდა ჯავშანსატანკო დივიზიას დასავლეთის ფრონტზე.

სს ჯარების გრუპენფიურერი კაჩმანი, რომელიც ამჟამად ბეირუთში იმყოფება, „სპეციალისტია“ ებრაელთა ჟლეტაში. ოგი მეთაურობდა პოლონეთის გენერალ-გუბერნატორის სპეციალურ საპოლიციო დივიზიას.

სს ჯარების შტანდარტფიურერი ვიზანეკი, რომელიც ბაღდადში იმყოფება. ოგი მეთაურობდა სს გალიციის დივიზიის ბრიგადას, რომელიც „სიკეთლის ბანაკებს“ იცავდა.

ორი არაბი ოფიცერი, რომლებიც ჰიტლერულ მესლიმანურ ლეგიონში მსახურობდნენ—პრინცი მანსურ დაეუდი და სულეიმან-ბეი. ამჟამად ერთი მათგანი მეთაურობს ერაყის დივიზიას, მეორე კი—ერაყის ბრიგადას.

ყველა დასახელებული ოფიცერი ბეირუთს ჩავიდა ინგლისის სამხედრო თვითმფრინავეთა. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ამჟამად დამსაქმი მოელან ძალიან თანამდებობის გერმანელ ოფიცერთა ახალი ჯგუფის ჩასვლას.

100 ათასი პოლიციელი ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში

პრაღა, 14 იანვარი. (საკდესი). როგორც ტელეგრაფესის საგენტო ბერლინიდან გადმოგვცემს, მარტო ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში (ინგლისური ზონა) შეიარაღებულია 100 ათასი პოლიციელი. ეს ფაქტი გამოამჟავრავდა დასავლეთ გერმანიის პოლიციის შესახებ ახალი კანონის განხილვის დროს.

გადადგა თურქეთის მთავრობა

ლონდონი, 14 იანვარი. (საკდესი). როგორც რეფტერის საგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან გადმოგვცემს, 14 იანვარს გადადგა თურქეთის მთავრობა. თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ისმეთ ინენიუ დაუყოვნებლივე შეუდგა გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან მოლაპარაკებას პრემიერ-მინისტრის პოსტზე ახალი კანდიდატის შერჩევის შესახებ.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. (საკდესი). ჰოლანდიის მთავრობის აგრესიასთან დაკავშირებით ინდონეზიის მდგომარეობის საკითხი განხილვამ უშიშროების საბჭოში გამოიწვია ამ აგრესიის ინგლისელ და ამერიკელ მფარველთა სმარცგანთან როლის გამოაშკარავება მთელი მსოფლიოს წინაშე. მთელი მსოფლიოსათვის ნათელია, რომ ჰოლანდიის მთავრობა ვერ გაბედავდა თავს დაესხა ინდონეზიის რესპუბლიკისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიური მხარდაჭერის იმედი რომ არა ჰქონდეს. საბჭოში ინგლის-ამერიკის უმრავლესობის წარმომადგენლებმა, რომელნიც ცდილობენ თუნდაც ოდნავ შეანელონ შთამბეჭდილება, რაც მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრში შექმნა ჰოლანდიის აგრესიის ინგლისელ და ამერიკელ მფარველთა მხილებამ, 13 იანვარს აურნუარი ასტეხეს ქაშმირის სამთავრის საკითხზე ინდოეთისა და პაკისტანის მთავრობებს შორის ამას წინით მიღებული შეთანხმების გარშემო.

13 იანვრის დემონსტრაციის სამაბად, რომლის მიზანიც იყო ბელეტრაველთა მოტყუება და საქმის ისე დასახვა, თითქოს ინგლის-ამერიკის პოლიტიკა უშიშროების საბჭოში ხელს უწყობდეს საერთაშორისო დაკის მშვიდობიან მოწესრიგებას, გამოყენებულ იქნა უშიშროების საბჭოს ეგრეთ წოდებული ქაშმირის საკითხის კომისიის ანუ „ხუთი ქვეყნის კომისიის“ მოხსენება. ეს კომისია შეიქმნა მარშან 21 აპრილ, მას შემდეგ, რაც ინდოეთისა და პაკისტანის მთავრობებს შორის დიდხანს წარმოდგა ენაყოფო დისკუსია ამის შესახებ, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს ქაშმირის სამთავრო. ეს დაკა, რომელსაც მოჰკვეთ სისხლისმღვრელი სამარი შეტაკება ქაშმირში, რის მსგავსებელ უმთავრესად ქაშმირის მშვიდობიანი მოსახლეობა გახდა, ინდოეთის დაყოფის ინგლისური გეგმის უშუალო შედეგი იყო. „მეორე ომი“ ქაშმირში პროგოკაციის გზით გამოიწვიეს დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგენტებმა ოფელ ეროვნულ და რელიგიურ წინააღმდეგობათა პირობებში, რათა გამოეყენებინათ იგი ინდოეთსა და პაკისტანზე ზეგავლენის საშუალებად. ამ სახელმწიფოებმა, რომლებიც მდიდრდებიან ორიგე მხარისათვის იარაღის მიყიდვით და აშუვებენ მათს ურთიერთობას, გამოიყენეს თავიანთი მხარდაჭერის დაპირება, რათა რაც შეიძლება მეტი დიფომბა მიეღოთ ორივე მხარისაგან.

ინდოეთისა და პაკისტანის მთავრობებს შორის დაკის საკითხის განხილვისას საბჭოთა დელეგაციამ, რომელსაც გაითვალისწინა პრინციპი, რომ ყოველი საერთაშორისო საკითხი შეიძლება და კიდეც უნდა გადაწყდეს შვიდობიანი და შეგობრული მოლაპარაკების საფუძველზე, შარშან იანვარში უშიშროების საბჭოში წინადადება შეიტანა საბჭოს წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან შექმნილი ავტორიტეტული კომისია, რომელსაც უნდა უზრუნველეყო შეთანხმება ინდოეთსა და პაკისტანს შორის. მაგრამ დაკის შვიდობიანი მოწესრიგების ასეთი ხერხი ხელსაყრელი არ იყო საბჭოს ინგლის-ამერიკელი ოპონენტებისთვის. საბჭოთა წინადადება ეარყოფილ იქნა უშიშროების საბჭოს სხდომაზე გასული წლის 20 იანვარს. საბჭოს წევრთა უმრავლესობამ ხმა მისცა იმას, რომ შეიქმნას კომისია სამი წევრისაგან, რომელთაგან ორი უნდა დანიშნონ შესაბამისად ინდოეთისა და პაკისტანის მთავრობებმა. ეს ორი წევრი ერთიერთ შორის უნდა შეთანხმებულიყო კომისიის მესამე მონაწილის კანდიდატურის შესახებ.

ინდოეთის მთავრობამ კომისიაში მიიწვია ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი, პაკისტანის თავრობამ — არგენტინის წარმომადგენელი. რადგან კომისიის ეს წევრები ვერ შეთანხმდნენ მესამე კანდიდატურის შესახებ, ამ ადგილზე საფრანგეთის დელეგატის თავაზიანი წინადადებით ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი დანიშნა. გარდა ამისა, კომისიაში დანიშნულ იქნენ აგრეთვე კოლუმბიისა და ბელგიის წარმომადგენლები, რომლებიც ცნობილი არიან როგორც ინგლის-ამერიკის ინტერესებია თავგამოდგებული დამცველნი. სწორედ ამ მიზნით ბელგიის წარმომადგენელს განეწყვეტლივ ეძლეკვნ ადგილები გიერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა ორგანოში, რომლებსაც რაიმე დამოკიდებულება აქვთ კოლონიურ საკითხებთან. ამასთან, აშკარაა, საკმაოდ დიდ ოლ ასრულებს ბელგიის კოლონიზატორული გამოცდილება.

ამრიგად, ამერიკის შეერთებულმ შტატებმა უზურეველეყეს თავიანთის ინტერესის მდგომარეობა იმ საკითხში, რომელიც შეეხება სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვან რაიონს. როგორც ცნობილია, ქაშმირი მდებარეობს ინდოეთის, პაკისტანის, ავღანეთის, სსრ კავშირისა და ჩინეთის საზღვრების შესაყარზე.

ამგვარი კომისიის შექმნას არ მოჰკვეა სწრაფი შეწყვეტა ქაშმირში სამოთი მოკმედებისა, რომელიც დიდ უბედურებას იყენებდა ქაშმირის მოსახლეობას. ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი დინტერესებული არ იყვნენ კომისიის მუშაობის მაღე დამთავრებით. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ინდოეთისა და პაკისტანს შორის ქაშმირის შესახებ დაკის მოწესრიგებაზე შეთანხმების მიღწევაში გადამწყვეტი როლი ეუნარეს ყოველისა თვითონ დაკის მონაწილე მხარეებს ეკუთვნით. მაგრამ ამან ხელი არ შეეშალა ინგლის-ამერიკის ბლოკს წარმომადგენლებს შეეცდილიყვნენ უშიშროების საბჭოს 13 იანვრის სხდომაზე გამოეყენებინათ კომისიის მოხსენება ნაკლებად დამაჯერებელი კამპანიისათვის, რომლის მიზანია თანმდეგ ნაწილობრივ ჩამოაშოროს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ყურადღება იმის, რომ ინდოეთი. ამერიკა მფარველობენ და ეხმარებიან ჰოლანდიის მთავრობის აგრესიას ინდონეზიის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ჩინეთის, კანადისა და თვით ეგვიპტის დელეგატები გამოდიოდნენ ერთმანეთის, აგრეთვე კომისიის მხარდასაჭერად. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ რაიმე საფუძველი არ ქონდათ, ისინი ცდილობდნენ ინდოეთისა და პაკისტანის შორის შეთანხმებაზე უშიშროების საბჭოში ინგლის-ამერიკის პოლიტიკის აქტივში შეეტანათ.

ამ დელეგატების, აგრეთვე ინდოეთისა და პაკისტანის წარმომადგენელთა გამოსვლების შემდეგ, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ეთი მთავრობები თანხმებნი არიან შეწყდეს საომარი მოქმედება და ქაშმირში პლებისციტი მოეწყოს, უშიშროების საბჭომ კენჭისუყრელად მიიღო ცნობად კომისიის მოხსენება.

დასასრულ საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისია უნდა გაემგზავროს ქაშმირს, რათა თვალყური ადევნოს, თუ როგორ განხორციელდება პლებისციტი.

გამოვიდა მორიგი ნომერი გაზეთისა „მგზავიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!“

ბუქარესტი, 14 იანვარი. (საკდესი). გამოვიდა მორიგი ნომერი გაზეთისა „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!“ № 2 (29). ნომერში დაბეჭდილია მოწინავე „ლენინის საქმე ეკუდგეთ“, აგრეთვე სტატიები: გიორგი დიმიტროვი — „ლენინიზმის დიადი და უძლეველი დროშით“; ანა პაუკერი — „ლენინი ცოცხლობს მთელი მსოფლიოს მილიონობით შრომელთა გულში“; ფ. კონსტანტინოვი — „ლენინიზმის საერთაშორისო მნიშვნელობა“; ჟ. კონინ — „ლენინის სახე ადამიანთა ფრანგ მუშების ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“; ჰილარი მინეი — „პოლონეთში სოციალიზმის საფუძვლების აშენებისათვის“; პიეტრო სეკა — „იტალიელ შრომელთა ბრძოლა იტალიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის“; ე. ბასკონსელოსი—„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ალბანეთში ბრაზილიაში“; ს. ვიგელიკი — „სოციალისტური მეცნიერებისა და კულტურის აყვავება სსრ კავშირში“; მორის კრიგელ ვალრიმონი — „საფრანგეთის რეაქცია ფეხთ თელავს დემოკრატიულ თავისუფლებებს“.

განყოფილებაში „პარტიული შუამბის გაბოცდილების გაზიარება“ გამოქვეყნებულია ბრუნო კელერის სტატია—„ადრეული მარქსისტულ-ლენინური აღზრდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიაში“.

გაზეთი აქვეყნებს ვრცელ ინფორმაციას კომუნისტური და მუშათა პარტიების ცხოვრებისა და საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის შესახებ.

გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში სდევნიან კომპაკრგინის ლიდერს მაქს რიმგანს

პარიზი, 14 იანვარი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო დიფესელდორფიდან გადმოგვცემს, გეშინ ინგლისის სამხედრო მინისტრაციამ გამოაცხადა, რომ კომუნისტური პარტიის ლიდერი ინგლიური ზონაში მაქს რიმანმი 18 იანვარს დიფესელდორფის სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს. მას ბრალად ედება, რომ დიფესელდორფში გამოსელისას ბალზს „აქეზებდა იმ პირთა დისკრიმინაციისათვის, რომლებიც დამბარებას უწევენ სამხედრო ადმინისტრაციას“.

თავის გამოსვლაში რიმანმა, როგორც იუწყებიან, მკვახედ მოიხსენია ის გერმანელი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც მზად არიან ითანამშრომლონ მოკავშირეებთან ოფის სტატუტის განხორციელებაში.

ინგლისის ჯარები ჭრანსიორდანიაში

პარიზი, 13 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტო ამანდან (ტრანსიორდანია) გადმოგვცემს, რომ ინგლისის ჯარებმა, რომლებიც ამას წინათ აჯაბის (ტრანსიორდანია) ჩაედნენ, ამჟამად დიაკვეს მათთვის განკუთვნილი ყველა პოზიციაა.

ტრანსიორდანიის საზღვრის გაყოლებით განლაგდნენ ჯავშანსატანკო ნაწილები და საზენიტო არტილერია.

ამანის ჩრდილოეთით მდებარე მიფრაკის ეკოფიშვილი ზოლომ ალეიხემის „ცოცმილების“ პერსონალი გოცმახი. ასეთივე გულწრფელებით უდგებოდა თავის მუშაობას თეატრში ვ. შალიკაშვილი. მას თეატრისადმი იმდენად ძლერი სიყვარული აღეძრა, რომ გალაღებული ცხოვრების მოტრფიალე, მოულოდნელად გმობს თავის ძველ გზას, რასაც წინათ ეთაყვანებოდა, და თავის ბედს თეატრს უკავშირებს, მისთვის იღვწის და მის სამსხვერპლოზე იწვის. მოქეიფე ჩოხოსანი ხანჯალს იხსნის და აქტიორის მძიმე, მაგრამ სანუკვარ ჭაპანს ეწევა.

მაშინდელი კაკაკვის რეალური სასწავლებლის 4 კლასის ცოდნა შალიკაშვილს საკმარისად არ მიაჩნია და 1909 წელს მიემგზავრება მოსკოვს, ეცნობა იქაური თეატრებს, ითვისებს მათს მიღწევებს და უბრუნდება სამშობლოს სცენას. მისმა პირველმავე დადგმებმა — დ. ერისთავის „სამშობლომ,“ ი. გედევანიშვილის „მსხვერპლმა“, „სინათლემ“ და სხვ. გამოაშკარავა ვ. შალიკაშვილის რეჟისორული ნიჭი. იგი ისეთ ინტენსიურ მუშაობას აჩაღებს, თითქოს სურდა გამოესყიდა წარსული ცოდვა, რომ დაგვიანებით მოჰკიდა ხელი საყვარელ საქმეს. სცენის ოშეიათი ცოდნა, მხატვრული ალღო, დაკვირვების დიდი უნარი ნათლად ჩანს მის მიერ დაწერილ ორიგინალურ პიესებში. შალიკაშვილის პიესებს — „გადაჭრილი მუხა“, „უნიადაგონი“, „ოჯახი“ და სხვ. — ერთ დროს ქართული თეატრის რეპერტუარში ღირსეული ადგილი ეჭირათ და ცხადყოფდნენ ავტორის ოსტატობას.

ვ. შალიკაშვილი მეტისმეტად თავისებური, ახალი ტიპის აქტიორი იყო მაშინდელი ქართული თეატრის სცენაზე. იგი ერთნაირი სიძლიერით ასახიერებდა, როგორც კომიკური, ისე დრამატულ და სახასიათო როლებს. მის თამაშში არ იყო ყალბი პათოსი, შტამპი. ის მეტად უბრალოდ, ბუნებრივად ასრულებდა როლებს და ამით ხიბლავდა მაყურებელს. დარისპან ქარსიძის როლის შესრულებით მოხიბლული ავტორი ფაკლიანაშვილი თავის მოგონებებში წერდა: „დარისპანმა იპოვა თავისი მოსიყვარულე, განსხვავებული მოსიყვარულე გამომსახველი — ვალიკო შალიკაშვილი... ეს იყო ნამდვილი სიყვარულიანი დრამა, სიყვარულიანი მხატვრობა, ავტორის გადაუხდელი დაჯილდოება“.

პროგრესული იდეების მატარებელი, დიდი ეროვდიციით აღჭურვილი რეჟისორი მსახიობი გრძნობდა, რომ მშობლიური სცენის ძველი გატკეპნილი გზით სიარული სიკეთეს ვერ მოუტანდა, და ოოცა ახალგაზრდობა ჩიხიდან გამოსვლას და ახალ გზებს ეძებდა, შალიკაშვილი მათთან იყო, როგორც რეჟისორი, მასწავლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ 1916 წლიდან მძიმე ავადმყოფობამ მუშაობა გაუძნელა, ვ. შალიკაშვილი ხელიდან არ უშვებს კალამს და ერთ-ერთი პირველი ქართველი დრამატურგთაგანია, რომელიც თავისი პიესის თემად იღებს 1917 წლის თებერვლის რევოლუციას, წერს კომედიას „ბაწყვეტილი ჯაშვი.“

მცირე ხანს მუშაობდა ვ. შალიკაშვილი ქართულ თეატრში და ამ ხნის მანძილზეც თავისი ენერგიული, თავდადებული შრომით ბევრი რამ გააკეთა, როგორც დრამატურგმა, პიესების მთარგმნელმა, რეჟისორმა და აქტიორმა. ვალერიან შალიკაშვილი 45 წლისა გარდაიცვალა 1919 წლის 17 იანვარს თავის სოფელ აკეთში.

განახლებული ქართული თეატრი, რომლის სცენაზეც მრავალი ნიჭიერი მსახიობი ბრწყინავს და დაუვიწყარ სახეებს ჰქმნის, ყოველთვის მოწიწებით მოიხსენიებს ძველი ქართული თეატრის მოამაგეს, თვალსაჩინო მსახიობ-რეალისტს ვალერიან შალიკაშვილს.

ა. ბუსთიკაშვილი

ვალერიან შალიკაშვილი

(გარდაცვალების 30 წელი)

„აი, გაავსონ ჭერამდე ეს ფარდული ოქროთი, ცოლად მომიყვანონ მეფის ასული და მითხრან — თავი დაანებე აქტიორობას, სხვაგან იმსახურე, ხელი მოჰკიდე სხვა ხელობას, და მე ამის მთქმელს სახეში მივაფურთხებ“ — ასე ამბობდა ებრაული ლიტერატურის კლასიკოსის შოლომ ალეიხემის „ცოცმილების“ პერსონაჟი გოცმახი. ასეთივე გულწრფელებით უდგებოდა თავის მუშაობას თეატრში ვ. შალიკაშვილი. მას თეატრისადმი იმდენად ძლერი სიყვარული აღეძრა, რომ გალაღებული ცხოვრების მოტრფიალე, მოულოდნელად გმობს თავის ძველ გზას, რასაც წინათ ეთაყვანებოდა, და თავის ბედს თეატრს უკავშირებს, მისთვის იღვწის და მის სამსხვერპლოზე იწვის. მოქეიფე ჩოხოსანი ხანჯალს იხსნის და აქტიორის მძიმე, მაგრამ სანუკვარ ჭაპანს ეწევა.

მაშინდელი კაკაკვის რეალური სასწავლებლის 4 კლასის ცოდნა შალიკაშვილს საკმარისად არ მიაჩნია და 1909 წელს მიემგზავრება მოსკოვს, ეცნობა იქაურ თეატრებს, ითვისებს მათს მიღწევებს და უბრუნდება სამშობლოს სცენას. მისმა პირველმავე დადგმებმა — დ. ერისთავის „სამშობლომ,“ ი. გედევანიშვილის „მსხვერპლმა“, „სინათლემ“ და სხვ. გამოაშკარავა ვ. შალიკაშვილის რეჟისორული ნიჭი. იგი ისეთ ინტენსიურ მუშაობას აჩაღებს, თითქოს სურდა გამოესყიდა წარსული ცოდვა, რომ დაგვიანებით მოჰკიდა ხელი საყვარელ საქმეს. სცენის ოშეიათი ცოდნა, მხატვრული ალღო, დაკვირვების დიდი უნარი ნათლად ჩანს მის მიერ დაწერილ ორიგინალურ პიესებში. შალიკაშვილის პიესებს — „გადაჭრილი მუხა“, „უნიადაგონი“, „ოჯახი“ და სხვ. — ერთ დროს ქართული თეატრის რეპერტუარში ღირსეული ადგილი ეჭირათ და ცხადყოფდნენ ავტორის ოსტატობას.

ვ. შალიკაშვილი მეტისმეტად თავისებური, ახალი ტიპის აქტიორი იყო მაშინდელი ქართული თეატრის სცენაზე. იგი ერთნაირი სიძლიერით ასახიერებდა, როგორც კომიკური, ისე დრამატულ და სახასიათო როლებს. მის თამაშში არ იყო ყალბი პათოსი, შტამპი. ის მეტად უბრალოდ, ბუნებრივად ასრულებდა როლებს და ამით ხიბლავდა მაყურებელს. დარისპან ქარსიძის როლის შესრულებით მოხიბლული ავტორი ფაკლიანაშვილი თავის მოგონებებში წერდა: „დარისპანმა იპოვა თავისი მოსიყვარულე, განსხვავებული მოსიყვარულე გამომსახველი — ვალიკო შალიკაშვილი... ეს იყო ნამდვილი სიყვარულიანი დრამა, სიყვარულიანი მხატვრობა, ავტორის გადაუხდელი დაჯილდოება“.

პროგრესული იდეების მატარებელი, დიდი ეროვდიციით აღჭურვილი რეჟისორი მსახიობი გრძნობდა, რომ მშობლიური სცენის ძველი გატკეპნილი გზით სიარული სიკეთეს ვერ მოუტანდა, და ოოცა ახალგაზრდობა ჩიხიდან გამოსვლას და ახალ გზებს ეძებდა, შალიკაშვილი მათთან იყო, როგორც რეჟისორი, მასწავლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ 1916 წლიდან მძიმე ავადმყოფობამ მუშაობა გაუძნელა, ვ. შალიკაშვილი ხელიდან არ უშვებს კალამს და ერთ-ერთი პირველი ქართველი დრამატურგთაგანია, რომელიც თავისი პიესის თემად იღებს 1917 წლის თებერვლის რევოლუციას, წერს კომედიას „ბაწყვეტილი ჯაშვი.“

მცირე ხანს მუშაობდა ვ. შალიკაშვილი ქართულ თეატრში და ამ ხნის მანძილზეც თავისი ენერგიული, თავდადებული შრომით ბევრი რამ გააკეთა, როგორც დრამატურგმა, პიესების მთარგმნელმა, რეჟისორმა და აქტიორმა. ვალერიან შალიკაშვილი 45 წლისა გარდაიცვალა 1919 წლის 17 იანვარს თავის სოფელ აკეთში.

განახლებული ქართული თეატრი, რომლის სცენაზეც მრავალი ნიჭიერი მსახიობი ბრწყინავს და დაუვიწყარ სახეებს ჰქმნის, ყოველთვის მოწიწებით მოიხსენიებს ძველი ქართული თეატრის მოამაგეს, თვალსაჩინო მსახიობ-რეალისტს ვალერიან შალიკაშვილს.

ა. ბუსთიკაშვილი

ვალერიან შალიკაშვილის ხსოვნის საღამო

საქართველოს თეატრალური საზოგადოება და ხელოვნების მუშაკთა სახლის გაგებიდა მართველენ ქართველი თეატრის ცნობილი მსახიობისა და რეჟისორის ვალერიან შალიკაშვილის გარდაცვალების 30 წლისთავის აღსანიშნავ საღამოს.

მოხსენებით თემაზე: „ვალერიან შალიკაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“ გამოვა სერგო გერსამია. სიტყვებითა და მოგონებებით გამოელენ: ვ. ანდრონიკაშვილი, ვ. ირბახე, ლ. გეგეშკორი, ნ. ვეარაძე, შ. გომელაური, შ. დადიანი, ნ. დავთაშვილი, ი. იმედაშვილი, ვ. ნინიძე, ლ. ქიაჩელი, ა. ფალავა, ნ. ჯავახიშვილი, დ. ჩხეიძე და სხვ.

საღამო შედგება ხელოვნების მუშაკთა სახლში, კვირას, 16 იანვარს, საღამოს 8 საათზე.

ამინდი

14 იანვარს დღისით და 15 იანვარს ღამით დასავლეთ საქართველოში იდგა მშრალი ამინდი მცირე მოღრუბლულობით. ქროდა სუსტი ქარები. ყველაზე დაბალი ტემპერატურა—11 გრადუსი ყინვა იყო ონში, მაღალი—12 გრადუსი სითბო ზუგდიდში.

აღმოსავლეთ საქართველოში იდგა მშრალი ამინდი. ყველაზე დაბალი ტემპერატურა — 20 გრადუსი ყინვა იყო ახალციხეში, მაღალი — 6 გრადუსის სითბო გორდაბანში.

15 იანვარს თბილისში იყო მოწმენდილი წყნარი ამინდი. დღის 12 საათისათვის თერმომეტრმა უჩვენა 1 გრადუსი სითბო.

ინგლისელ ჯარისკაცებს ეშინიათ ებრაელ ტერორისტებისა

ლონდონი, 14 იანვარი. (საკდესი). ინგლისელ ჯარისკაცებს ეშინიათ ებრაელ ტერორისტებისა. ინგლისელ ჯარისკაცებს ეშინიათ, ებრაელ ტერორისტებმა ბომბი ჩაუდონ ინგლისელ ჯარისკაცთა ბარაკებში